ხელშეკრულება N11

ქ. ხაშური 14 მარტი 2023 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ კოლეჯი „ქართლი“** (ს/კ243919033) (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის - **ხათუნა ლობჟანიძის** სახით და, მეორეს მხრივ **შპს „პროსერვისი“** (ს/კ 204929168) (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის- **რევაზ ნატროშვილ**ის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. ხელშეკრულების საგანია: შემსყიდველისთვის ინტერნეტ დომენების DNS ჩანაწერის შექმნა, 24 საათიანი შენახვა - web/mail ჰოსტინგს ინტერნეტში, რისთვისაც შემსყიდველისთვის მიმწოდებელი მის კუთვნილ სერვერზე გამოყოფს სერვისს: 100მბ დისკურ სივრცეს დომენისათვის **qartlicollege.ge**, რისი გარანტირებული აფ-თაიმიც შეადგენს 99,5%; CPV:724150000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 90.00 (ოთხმოცდაათი) ლარს, წლიური მომსახურება;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, კოლეჯის სუბსიდიების ანგარიშიდან;

3.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე, საქონლის სრულად ჩაბარებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ კოლეჯი „ქართლის'' დირექტორი - ხათუნა ლობჟანიძე;

4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური, ზემო სერი, კოლეჯის ოფისი.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელედება 2023 წლის 14 მარტს;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ჩააბაროს ნივთობრივად უნაკლო ხელშეკრულების საგანი;

6.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში;

6.6 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მისი კუთვნილი სერვერების მუდმივი მონიტორინგი და იზრუნოს მათ უსაფრთხოებაზე, მოახდინოს ვებ-გვერდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარეზერვო ასლის შენახვა ყოველ 3-10 დღეში და ვებ გვერდის არასანქცირებული დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს აღდგენა სარეზერვო ასლიდან. მიუხედავად ამისა, რადგან არსებობს 100%-იანი გარანტია ფაილების არდაზიანების ან/და არწაშლის, შემსყიდველი ვალდებულია პერიოდულად მოახდინოს სერვერებზე ატვირთული ინფორმაციის სარეზერვო კოპირება მის პირად კომპიუტერში ან/და CD/DVD დისკებზე და არ დატოვოს ასლები მხოლოდ სერვერებზე. მიმწოდებელი არ იღებს პასუხისმგებლობას აბონენტის მხრიდან სერვერებზე განთავსებული ფაილების დაკარგვაზე. მიმწოდებელი უწევს რეკომენდაციას შემსყიდველის სარეზერვო ასლების შენახვის პერიოდულობად განისაზღვროს კვირაში 1-ჯერ. ამასთან მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველის მიერ მისთვის გამოყოფილ ვებ სივრცეში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოებაზე;

6.7 მიმწოდებელი უფლებამოსილია არ ჩატვირთოს სერვერზე, არ გამოიყენოს გასაგზავნად ან არ განათავსოს კონტენტი, რომელიც:

ა) ეხება რაიმე პატენტს, სავაჭრო ნიშანს, კომერციულ საიდუმლოებას ან არღვევს მესამე მხარის საავტორო უფლებას;

ბ) შეიცავს სპამს (მათ შორის საძიებო), უცხო ელექტრონულ მისამართებს;

გ) შეიცავს ვირუსებსა და სხვა კომპიუტერულ კოდებს, ფაილებს და პროგრამებს, რომელიც განსაზღვრულია პროგრამების, კომპიუტერების და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობათა ფუნქციონალური შეზღუდვის, დარღვევისა თუ განადგურებისათვის. ასევე კომერციული პროგრამული პროდუქტების სერიული ნომრების, კოდების, ლოგინების, პაროლების ან სხვა რაიმე ინფორმაციის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს ინტერნეტის ფასიან რესურსში არასანქცირებულ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ზემოთაღნიშნულ ინფორმაციაზე ლინკების განთავსება

დ) არღვევს საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო ნორმებს;

6.8 მიმწოდებელი უფლებამოსილია მომსახურების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში შეუჩეროს მომსახურება შემსყიდველს გადახდის ვადის გასვლიდან 15 სამუშაო დღეში, რა პრიოდშიც ინახავს მის კუთვნილ სერვერზე არსებულ შემსყიდველის მონაცემებს (ელ ფოსტას, ვებ გვერდის ბაზას და ა.შ), ხოლო წერილობითი გაფრთხილებიდან 15 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ- წაშალოს სერვერიდან შემსყიდველის ყველა მონაცემი გაუფრთხილებლად.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11. კონფიდენციალურობა

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა დაკვეთის მიერ მოწოდებულ მასალებზე, რომელიც განთავსებულია სერვერზე, არ შეინახოს და არ გაავრცელოს ისინი დამკვეთის ნებართვის გარეშე;

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 15 აპრილამდე;

შემსყიდველი

სსიპ კოლეჯი „ქართლი“
ხაშური, დაბა სურამი
საიდენტიფიკაციო კოდი 243919033
ბანკის კოდიTRESGE22
სახაზინო კოდი 32030134

დირექტორი:

College Qartli (LEPL)
Digitally signed by College Qartli (LEPL)
Date: 2023.03.16 12:25:00 +04'00'

ხათუნა ლობჟანიძე

მიმწოდებელი

შპს „პროსერვისი“
თბილისი, პ. ქავთარაძის ჩიხი N3
საიდენტეიფიკაციო კოდი 204929168
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE 28 TB 0600000303467561

დირექტორი:

Revaz Natroshvili 01008001002
Digitally signed by Revaz Natroshvili
Date: 2023.03.16 11:57:41

რევაზ ნატროშვილი